

გიორგი კაშია

ლილე

მოქმედი პირნი

ანა - 17 წლის

ანას მამა-ნუგზარი

ანას დედა-მარინა

ანას ძმა- ნიკა

ანა ავანსცენაზეა, შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის ჭოჭმანობს გათქვას თუ არა საიდუმლო, დაძაბულია და ნერვიულობს, გოგონა გადაწყვეტილების მიღების მომენტშია რა დროსაც ის ჩუმი ხმით ამბობს მაცურებლის პირისპირ.

ანა-ფეხმძიმედ ვარ

წამიერი სიჩუმის შემდეგ

ნიკა-რა?

მარინა-რას ამბობს?

ანა-მან მითხრა, რომ ამისათვის მზად არ არის, რომ თუ მინდა აბორტის ფულს გადამიხდის.

ნუგზარი-წადი წყალი მომიტანე

მარინა-ანა გაიმეორე?!

ანა-ფეხმძიმედ ვარ!

მარინას სკამი მიაქვს ანასთან

მარინა-დაჯექი.

ანა სკამზე ჯდება და სამივე თავს ეხვევა

მარინა-როდის გაიგე? ექიმთან იყავი ?

მარინა წყალს აძალეხს ანას

ანა-არა ტესტმა მაჩვენა

მარინა- დალიე ეს

ნუგზარი-ტესტი სად არის ?

ნუგზარი მარინას

ნუგზარი-მიდი გოგო შეამოწმე გამისკდა გული

მარინა ანას ტესტს გამოართმევს და მისჩერებია

ნუგზარი- ჰაა ამოღერლე

მარინა ნუგზარს გახედავს და თავს თანხმობის ნიშნად დაუქნევს

ნუგზარ-ნამდვილად?

მარინა-მე მგონია,რომ ნამდვილად

ნუგზარი ანას ფეხზე წამოაყენებს,მაყურებელს შთაბეჭდილება შესაძლოა შეექმნას,რომ ნუგზარმა ანა უნდა დასაჯოს,ნუგზარი ანას მუცელზე ფრთხილად ეხება

ანა-მან მითხრა რომ ამისათვის მზად არ არის და თუ მინდა აბორტს გამიკეთებს,კიდევ მითხრა,რომ არავისთან არ ვთქვა.

ნუგზარი- ეგ ნაბიჭვარი

ნიკა-გპირდები აბორტს ვერავინ გაგიკეთებს.

ნუგზარი-შენ?

ანა-რა მე

ნუგზარი-გინდა გაჩენა?

ანა-რა თქმა უნდა მამა

ანა აფორიაქდება და ნუგზარისგან ელოდება რეპლიკას

ნუგზარი-მარინა კარადაში რომ შამპანურია მოიტანე

მარინა შამპანურის მოსატანად მიდის

ნუგზარი-გოგო დაიბადება,ლამაზი გოგო, ან სულაც ბიჭი

მარინას შამპანური და ჭიქები მოაქვს,ყველას უნაწილებს

ნუგზარი ანას

ნუგზარი-შენთვის არ შეიძლება (იცინის)

ნუგზარი შამპანურს ხსნის

ნუგზარი-გოგო დაიბადება,ლამაზი გოგო,ან სულაც ბიჭი

მარინა-ბეზიამ ენაცვალოს

ნიკა-ნადმვილ მევიოლინედ გავზრდი

ნუგზარი-გვარს მე მივცემ

მარინა-იქნებ მე ?

ნუგზარი- ანამ გადაწყვიტოს

ანა ფიქრის შემდეგ

ანა-იქნებ მას უნდა გვარის მიცემა?

ნიკა-არავითარ შემთხვევაში ! ის გთხოვს,რომ აბორტი გაიკეთო,მეზიზღება

ნუგზარი-ვინ არის ის ?

ანა-გიორგი

ნიკა-ვინ გიორგი ? დვალიშვილი?

ანა-ჰო. აბა ვინ გიორგი იქნება ?

ნიკა- და ის გთხოვს,რომ აბორტი გაიკეთო?

ნუგზარი-ალარ გვინდა მასზე ლაპარაკი

მარინა-ხვალ დილით ექიმთან უნდა წავიდეთ

ნიკა ანას

ნიკა-დაგერხა

ანა-რატომ ?

ნიკა- სულ მცირე რვა თვე ვედარ მოწევ (იცინის)

ანა-შენ კიდევ სულ მცირე რვა თვე მოგიწევს ჩემი ხუმტურების მოსმენა და შესრულება

ნიკა ჯარისკაცივით ჩესტს აიღებს ანას წინაშე

ნიკა-მზად ვარ გემსახუროთ. (იცინიან)

ანა სკამიდან დგება და უკან გადადის,მას ნუგზარი,მარინა და ნიკა მიყვებიან,თითქოს უკნიდან აზღვევენ,რომ არაფერი დაემართოსო,სცენა ბნელდება.

ანა მაგიდასთან ზის

ანა-პირველი ორი თვე მარტივია,თითქოს ვერაფერს გრძნობ,უფრო მარტივია თუ ბროკოლი გიყვარს

მარინა-ანა ბროკოლის წვნიანი გაგიკეთე

ანა-ისევ ბროკოლი დედა?

მარინა-დიახ ! უნდა ჭამო,ვიტამინები გჭირდება

ანა- და პირდაპირ ვიტამინები,რომ დავლიო ?

მარინა-ანა ბევრს ნუ ლაპარაკობ, შეჭამე ეს

მარინა წინსაფარაკრული მოდის და ბროკოლის წვნიანს დებს მაგიდაზე

მარინა-ჰე,დაიწყე ახლა

ანა-მამა სად არის?

მარინა-ბაბუაშენმა დაურეკა,წამლები აღარ მაქვსო და მისატანად წავიდა

ანა-ნიკა?

მარინა-აბა რას გაიგებ ნიკას ასავალ-დასავალს?

ანა-რა გინდა ბოლო დროა ჭკვიანად იქცევა

მარინა-ჰო.. იმ დღეს ვუთხარი,ხომ იცი ანას ნერვიულობა არ შეიძლებათქო,შესაბამისად თუ შენ მე და მამაშენს გაგვანერვიულებ ანაც ინერვიულებსთქო

ანა-რა გიპასუხა?

მარინა-წარბები შეკრა რა თქმა უნდა და თხა და გიგოსავით თავი დამიქნია

ანა იცინის

მარინა-დაამთავრე ახლა ეს

ანა-ალარ მინდა

მარინა-გინდა ! შენ არ გინდა..

ანა აწყვეტინებს

ანა-კარგი ვჭამ

მარინა-ხომ არ შეგხმინებია?

ანა-ვინ?

მარინა-ვისზე შეგეკითხები ანა?

ანა-გაიგო,რომ გითხარით.

მარინა-მერე?

ანა-რა თქმა უნდა შეეშინდა,პანიკაში ჩავარდა

მარინა-ხომ უთხარი,რომ არაფერში გვჭირდება?

ანა-კი

მარინა-მერე რა გიპასუხა?

ანა-მომენატრეო

მარინა-მერე შენ ?

ანა-დავსინე

მარინა-რა ქენი ?

ანა-დავსინე

მარინა-ვერ გავიგე რას ნიშნავს დავსინე

ანა იცინის

ანა-პასუხი არ გამიცია

მარინა-გასაგებია. გიყვარს?

ანა-ჰო..

მარინა-ხომ არ ინერვიულებ?

ანა-არა

მარინა ანას შუბლზე კოცნის

ანა-მოვრჩი

მარინა-ჰო ახლავე

მარინა წვნიანის თეფშს აიღებს და გადის,ანა მარტო რჩება

ანა-მეხუთე თვეს გავიგეთ,რომ გოგო შემეძინება

ნუგზარის საბავშვო ეტლი შემოყავს და ფიქრობს სად დადგას,მოქმედება მაგიდის უკანა მხარეს ხდება.

ანა-ორსულობა სულაც არ არის რთული,თუ არ ჩავთვლით ჩემს ხუმტურებს,რომლებიც ხან ღამის თორმეტ საათზე დაატყდება ნიკას თავს,ხანაც დილის ხუთზე. ამას ჩემი ძმა უკეთ მოყვებოდა.

შემორბის ნიკა,რომელიც სირბილისგან დაღლილია და პარკებს მაგიდაზე დებს

ნიკა-აჰა შენ სიმინდის კონსერვი,შოკოლადის ნაყინი,მარილიანი ჩხირები,თევზის კონსერვი

თევზის კონსერვს ზიზღით ამბობს

ნიკა-ისე ამას რა გაჭმევს?

ანა-იოგურტი?

ნიკა-რა იოგურტი

ანა-იოგურტი

ნიკა-ეგეც დამაბარე?

ანა-მელადავები? აუუუ ძან მინდოდა

ნიკა-მოიცა

ნიკა ისევ გარბის მაღაზიაში,ანას გვერდით საბავშვო ეტლი შემოგორდება,ანა გახედავს საბავშვო ეტლს. აქ შეისაძლებელია მუსიკა შემოვიდეს,ეტლის შემოგორებასთან

ერთად,ეტლის უკან მარინა და ნუგზარი დგანან,ანა ფეხზე წამოდგება,მას უკვე მუცელი ეტყობა,ეტლთან მიდის.

ანა-რა ლამაზია

ნუგზარი- მოგწონს ?

ანა-ძალიან ლამაზია

მარინა ეტლში მოთავსებულ საბავშვო სათამაშოებს იღებს და ანას აჩვენებს,ანა ათვალიერებს ეტლს,შიგნით მოთავსებულ სათამაშოებს,სამივე ეტლთან აღმოჩნდებიან,მუსიკა თითქოს უმნიშვნელოდ,მაგრამ ძლიერდება,შემორბის ნიკა,რომელიც ამ სურათს შეესწრება,დადლილია

ნიკა-აჰა შენი იოგურტიც

მარინა-მოდის აქ

ნიკა მარინასთან,ნუგზართან და ანასთან მიდის ეტლთან,განათება მხოლოდ ეტლს და ოთხეულს ანათებს,პერსონაჟები ეტლის რწევას იწყებენ. (მუსიკალური აქცენტი)

ნუგზარი-გოგო დაიბადება,ლამაზი გოგო

მარინა-ენაცვალოს ბებიამ

ნიკა-ნადმვილ მევიოლინედ გავზრდი

ანა-ლილეს დავარქმევ

ნუგზარი-ჩემ გვარს მივცემ

მარინა-იქნებ ჩემსას?

ანა-მას რომ მოუნდეს გვარის მიცემა?

ნიკა-არავითარ შემთხვევაში! მეზიზღება

ნუგზარი-არ გვინდა მასზე ლაპარაკი.

განათება გადის

ანა-მეცხრე თვე,ველოდები როდის ამტკიცდება მუცელი,უკვე ძალიან მაწვალებს ლილე. იქნებ კეთილი ინებოთ და გამოზრდნდეთ ქალბატონო? გუშინ ხმოვანი შეტყობინება მივიღე.

ანა რთავს ტელეფონში ხმოვან შეტყობინებას.

ხმა-ბევრი ვიფიქრე და მზად ვარ მამობისთვის. მე შენ ძალიან მიყვარხარ და პატიებას გთხოვ,მინდა ერთად ვიცხოვროთ მე შენ და ლილემ. ისიც ვიცი რა რთულია ახლა შენთვის მასპატიო,მაგრამ დამიჯერე,ძალიან მინდა ლილეს მამა გავხდე,ძალიან მინდა შენი ქმარი ვიყო.

ანა-მგონი ამ სიტყვებმა ამატირა

ხმა-სახლში დედაჩემს და მამაჩემს მოვუყევი ყველაფერი,უნდათ ხვალ თქვენთან სტუმრად მოვიდეთ. გთხოვ პასუხი გამაგებინო.

ანა ავანსცენაზე გამოდის,შემდეგ მის გაზრდილ მუცელს შეხედავს,მოქმედება მის უკან რადიკალურად იცვლება,საბავშვო ეტლი იმ მდგომარეობაში აღმოჩნდება ტელევიზორის უკანა მხარის შთაბეჭდილებას ქმნის,ანას სახეზე ნერვიულობა ეტყობა,როგორც სპექტაკლის დაწყების დროს,მის უკან ქაოსია

ნუგზარი-მარინა

მარინა- რა ხდება?

ნუგზარი-სად ჯანდაბაშია ეს ტელევიზორის პულტი ?

მარინა-მე რა ვიცი ? მანდ იქნება

ნუგზარ-ნიკუმა

ნიკა-ჰო მამა

ნუგზარ-მომამოორე ახლა ეს იოგურტი და ბროკოლი აქედან და კილკა მოიტანე,ლუდი მაცივარშია,მარილიანი ჩხირებიც იქნება მანდ.

ნიკა ანას

ნიკა-გოგო წაილე ახლა ეს შენი ნივთები აქედან

ნუგზარ- ე ბიჭო მალე ქენი,დაიწყო და ეგ არის მაგის დედაც ვატირე

ნიკა- ვსო მოვედი

ნუგზარ- დედას ვუტირებთ დედას !! მარინა მოიტანე ეგ კილკა და სიმინდი

მარინა-მომაქვს,მომაქვს

ნუგზარი-გახსენი ნიკუმ ეგ პივები

ნიკა ლუდებს ხსნის,ანა ავანსცენაზეა და გადაწყვეტილების მიღების პროცესშია გაამხილოს თუ არა.ყველაფერი რაც მოხდა თითქოს წარმოსახვა იყო ავანსცენაზე დგომის დროს.



ნუგზარი-უპ რა თამაში იქნება შენ ხო არ იცი.

ანა გადაწყვეტილების მიღების პროცესშია თქვას თუ არა

ნუგზარი- მომასწარი ერთ შვილიშვილს ნიკო მომასწარი.

ნიკა-ნამდვილ ფეხბურთელად რომ გავზარდო ?

ნუგზარი-აბა როგორ? აბა სკრიპაჩი ხო არ იქნება ? (იცინიან)

ანა- ფეხმძიმედ ვარ

სიჩუმე ისადგურებს

ნიკა- რა გოგო ?

მარინა-რას ამბობს?

ანა-მან მითხრა,რომ ამისათვის მზად არ არის,რომ თუ მინდა აბორტის ფულს გადამიხდის.

ნუგზარი-წადი წყალი მომიტანე

მარინა-ანა გაიმეორე?!

ანა-ფეხმძიმედ ვარ!

მარინას სკამი მიაქვს ანასთან

მარინა-დაჯექი აქ.

ანა სკამზე ჯდება და სამივე თავს ეხვევა

ნანა-როდის გაიგე? ექიმთან იყავი ?

ანა-არა ტესტმა მაჩვენა

ნუგზარი-ტესტი სად არის ? (ყვირილით)

მარინას ეუბნება

ნუგზარი-მიდი გოგო შეამოწმე გამისკდა გული

მარინა-წადი ტესტი მომიტანე

ანა ტესტის მოსატანად გადის

ნუგზარი-თვენი დედა ვატირე. ხომ დამღუპეთ? ხომ დამაქციეთ?

მარინა ანას ტესტს გამოართმევს და სუყველა ტესტს მისჩერებია

მამა- ჰაა ამოღერღე

დედა მამას გახედავს და თითქოს არ უნდა თქმა

ნუგზარი-თქვიი

მარინა- ფეხმძიმედაა

ნუგზარი-დარწმუნებული ხარ?

მარინა-აქ ასე აჩვენებს

ნუგზარი ანას ფეხზე წამოაყენებს და ხელს გაარტყამს

ნუგზარი-შემარცხვენელი და თავის მომჭრელი ბოზი ხარ

ანა-აბორტს არ გავიკეთებ

ნიკა- ამას უნდა ვკითხოთ რას გაიკეთებს? ხომ გეუბნებოდი ? ხომ ვამბობდი გლახად დაეთრევა ესთქო ? ჩემი ხომ არასოდეს არ გჯერათ?

ნუგზარი მარინას

ნუგზარი-შენი ბრალია ! აი შენი შვილი. გაათრიე ეგ აღარ დამანახო.

მარინა-ვისგან ?

ანა-გიორგისგან

ნიკა-დვალიშვილისგან ?

ანა-ჰო (ტირის)

ნიკა ხელში დანას აიღებს და სახლიდან გაქცევა უნდა,ნუგზარი წინ გადაუდგება

ნუგზარი-დაეგდე

ნიკა-გამიშვი

ნუგზარი-დაეგდეთქო

ნიკა უკან იხევს

ნუგზარი-მარინა წადი კარადაში წამალია და მომიტანე

მარინას წამალი მოაქვს ნუგზართან,ნუგზარი წამალს სვამს

მარინა-ხვალვე წავალთ ექიმთან

ანა-აბორტს არ გავიკეთებ.

ნუგზარი-შენ შეგეკითხები ახლა რას გაიკეთებ და რას არა ზუსტად.

ანა-მამა გთხოვ. აბორტი არა,გემუდარები

ნუგზარი-ჩუმიად მეთქი

მარინა-ნუგზარ დამშვიდდი

ნუგზარი-რა დამამშვიდებს? შენ რა გამშვიდებს?

ნიკა ანას

ნიკა-რა ჯანდაბა გააკეთე? მეზიზღები

ნუგზარი-გადაწყვეტილი ამბავია

ნუგზარი ფეხზე წამოდგება,თავის ხელში აყვანას ცდილობს,ტელევიზორიდან ფეხბურთის კომენტატორის ხმა მოისმის,ნუგზარს აღიზიანებს ეს ხმა,შემდეგ ტელევიზორს გადმოაყირავებს,რომელიც საბავშვო ეტლის ფორმას უბრუნდება და ანას ფეხებთან დაეცემა,ეტლიდან ბავშვის სათამაშოები იყრება.

ანა-ძალიან მეტკინა. ლილე დედაჩემის მეგობარმა საიდუმლოდ მომაცლია.

მარინა ანასთან მიდის და მის უკან ჩაიმუხლება

მარინა- მორჩა, დალიე წყალი

ანას არ უნდა წყლის დალევა,მაგრამ ძალით ასმევს მარინა

ანა-დედა

მარინა-რა?

ანა-მეზიზღები.

ანას უკან ნიკას და ნუგზარის ხმა მოისმის

ნუგზარი-დაგაჯვი ფეხზე !

ნიკა-სუდიას ბრალთა ყველაფერი სუდიასი.

ნუგზარი-სუდია პიდარასტ !

ერთად იმეორებენ ნიკა და ნუგზარი

-სუდია პიდარასტ,სუდია პიდარასტ,სუდია პიდარასტ !

ფარდა

გიორგი კაშია